სრული რევანში

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 21 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) - “ზენიტი” (ლენინგრადი) - 5:1 (3:1).

“ზენიტი”: ლაზუნოვი, სტეპანოვი, შიშკოვი, გეკი, დერგაჩოვი, ზავიდონოვი, ხრაპოვიცკი, ბატანოვი, მოროზოვი, ბონდარენკო (ბურჩალკინი), ივანოვი.

“დინამო”: ს. კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა (ა. კოტრიკაძე), ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

ზედმეტია ლაპარაკი გუშინდელი მატჩის მნიშვნელობაზე საერთო სატურნირო მდგომარეობისათვის. 2 ქულა ორივე გუნდისათვის საჭირო იყო, როგორც ჰაერი, ვინაიდან იმ დიდი ჯგუფისაგან ჩამორჩენა (7 გუნდი), რომლის წევრებსაც პრეტენზიები აქვთ მესამე ადგილისათვის, ახლა შეიძლება საბედისწეროდ იქცეს და გუნდი საპრიზო ადგილის ნაცვლად ცხრილის მეორე ნახევარშიც კი მოექცეს.

ამიტომ თბილისელებმა თამაში იმდენად მაღალ ტემპში დაიწყეს, მათს შეტევას ისეთი თავბრუდამხვევი ხასიათი ჰქონდა, რომ “ზენიტის” მთელი შემადგენლობა საჯარიმო მოედანთან აღმოჩნდა მიჯაჭვული. დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა სტუმრების კარის შტურმი, რომელშიც 6-7 დინამოელი ღებულობდა მონაწილეობას და ლენინგრადელები რაღაც სასწაულით გადაურჩნენ გოლს. იშვიათი სიზუსტის, სწრაფი, გონებამახვილური კომბინაცია იქნა გათამაშებული მე-8 წუთზე: ღოღობერიძე-მელაშვილი-კალოევი-მესხი-კალოევი, მაგრამ საბოლოო დარტყმა სულ მცირე მანძილით აცდა კარს.

“დინამოს” ამ იერიშში მთავარ წარმმართველ ძალას მარცხენა ფრთა წარმოადგენდა, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ იამანიძე და მესხი. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ თუ აქ არ იქნა დარღვეული კომბინაციური ურთიერთობა, თუ საერთო გეგმით, ცალკეულ მოთამაშეთა გამოუთიშავად იწარმოებს შემტევი ოპერაციები, ეს ტრიო - იამანიძე-ღოღობერიძე-მესხი იქცევა ძალად, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე ძნელი იქნება ყოველგვარი დაცვისათვის. როგორც წმინდა სპორტული, ისევე ესთეტიკური მხრივაც შესანიშნავ სანახაობას წარმოადგენდა თბილისის “დინამოს” მარცხენა ფლანგზე აწყობილი თამაში.

მაგრამ თბილისელთა შტურმის ლოგიკური რეალიზაცია მოხდა შედარებით მოგვიანებით, როცა ზენიტელებმა თითქოს შეძლეს ცოტათი სულის მოთქმა. 27-ე წუთზე იამანიძემ თავის უახლოეს პარტნიორთან - ზეინკლიშვილთან ერთად წამოიწყო კომბინაცია, შემდეგ გავიდა წინ, მიიღო ბურთი კალოევისაგან და მცველთან და მეკარესთან ნამდვილ ათლეტურ ბრძოლაში გაიტანა პირველი გოლი - 1:0. მცირე ხანს შემდეგ თითქმის ანალოგიური კომბინაცია გათამაშდა იამანიძისა და მესხის მონაწილეობით, ამ უკანასკნელმა მოატყუა მცველი, კარიდან გამოსული მეკარე და ცენტრში მიაწოდა კალოევს, რომელმაც ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში -

2:0. განვლო კიდევ ორმა წუთმა და მელაშვილმა მეტად ძნელი მდგომარეობიდან მოტრიალებით უძლიერესი გოლი გაიტანა ლაზუნოვის კარში.

ერთადერთი საპასუხო ბურთი "ზენიტმა" მე-40 წუთზე გაიტანა და ეს იყო "დინამოს" დაცვის უყურადღებობის შედეგი. "მოხდა" ისე, რომ კარის სიახლოვეს მარტოდმარტო დარჩა ბონდარენკო, რომელმაც არ დააყოვნა ასეთი მომენტის გამოყენება - 1:3.

დინამოელთა სრული უპირატესობით დაიწყო მეორე ტაიმიც. მე-4 წუთზე იამანიძემ ზუსტად მიაწოდა ბურთი მარცხენა ფრთაზე, მესხმა თავისი ჩვეული ფინტით გვერდი აუარა სტეპანოვს, კიდევ ერთხელ მოატყუა მეკარე ლაზუნოვი (!) და გაიტანა მეტად ლამაზი გოლი - 4:1.

მე-14 წუთზე ლენინგრადელებს კიდევ ერთხელ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან რთული კომბინაციის შემდეგ, რომელშიც თავდასხმისა და ნახევარდაცვის რამდენიმე მოთამაშე მონაწილეობდა და კალოევის მიერ იქნა დამთავრებული - 5:1.

შეიძლება ითქვას, რომ მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, გარდა ამისა, მარცხენა ფრთა საგრძნობლად დაიღალა, ამიტომ თბილისელთა იერიშებმა ერთგვარად იკლო, მაგრამ ახლა ბრძოლაში სრული ძალით ჩაება თავდასხმის მარჯვენა ფრთა და საერთო წონასწორობა მინდორზე შენარჩუნებულ იქნა. ამის წყალობით ლენინგრადელებმა ვერ შეძლეს თავიანთ ხელში აეღოთ ინიციატივა და ისინი მსაჯის საფინალო სასტვენამდე კარგა ხნით ადრე შეურიგდნენ დამარცხებას.

მატჩი დამთავრდა თბილისის "დინამოს" სრული რევანშით - 5:1.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა ფრედ - 1:1.

რ. ქორიძე.

"ლელო", 22 ოქტომბერი, 1959 წ.

დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან"